განკარგულება:**გ-17. 17232684**
თარიღი:**25/09/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია"-ის დირექტორის ანგარიში 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. ცნობად იქნეს მიღებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია"-ის დირექტორის ანგარიში 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

2023 წლის I კვარტლის ანგარიში

დავით მუმლაძე

აღმასრულებელი დირექტორი

davitmumla@gmail.com

+995 577 773 221

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია გამოფენაზე ITB Berlin 2023

სამცხე-ჯავახეთის DMO-მ პირველად მიიღო მონაწილეობა ბერლინში გამართულ მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ტურისტულ გამოფენაში ITB Berlin 2023, სადაც წელს საქართველო მასპინძელი ქვეყნის რანგში იყო წარმოდგენილი.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ITB Berlin 2023

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

სამცხე-ჯავახეთი
გვიქვს უთვალავი ფერითა

ITB Berlin 2023

სამცხე-ჯავახეთის სტენდთან, გამოფენაზე მოსულ ვიზიტორებს, ტურისტულ სექტორში ჩართული ორგანიზაციების და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ რეგიონის ტურისტულ პოტენციალს, კულტურას და ბუნებას, სამცხე-ჯავახეთის DMO-ს მიერ შექმნილი ტურისტული ბროშურების, რუკების და პროდუქტის საშუალებით. წარმოდგენილი იყო, ასევე, ახალციხისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტურიზმის განყოფილებების და ახალციხის ციხის მიერ შექმნილი საიმიჯო მასალები.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ITB Berlin 2023

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

სამცხე-ჯავახეთი
გვიქვს უთვალავი ფერითა

საერთაშორისო გამოფენა Matka 2023

2023 წლის 19-22 იანვარს, სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციასთან ერთად სკანდინავიის ქვეყნებში ყველაზე დიდ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

საერთაშორისო გამოფენა Matka 2023

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთის DMO-ს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი და მთავარი პრიორიტეტია. გამოფენების საშუალებით იზრდება ცნობადობა რეგიონის შესახებ, ორგანიზაცია ამყარებს კონტაქტებს ბლოგერებთან, მედია წარმომადგენლებთან და ტუროპერატორებთან.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

2022 წელს გაწეული საქმიანობების ანგარიში

15 თებერვალს, ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

თანამშრომლობის გაფართოება

13–16 მარტს, ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და თურქეთის ქალაქ ერზურუმს შორის შემუშავებული მემორანდუმის ფარგლებში, სამცხე–ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის წარმომადგენლები, სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს, ტურისტული სააგენტოებისა და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთში, ერზრუმისა და არტაანის პროვინციებში.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

შეხვედრა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელთან

- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შეხვედრა დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციებთან.
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე სამეგრელოს, სვანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავხეთისა და კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების პროექტებს გაეცნო.

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

თანამშრომლობა ადგილობრივ ბლოგერებთან/ინფლუენსერებთან რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით

- **იანვარი** - მაგდა კონიკი
- **მარტი** - გიორგი შერმაზანაშვილი

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

მადლობა ყურადღებისთვის!

ხარისჭირაშვილის ქუჩა #1, ახალციხე, 0800 საქართველო
ტელ: +995 577 77 32 21
Email: s.javakhetidmo@gmail.com
www.visitsj.ge

View in browser

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

კვარტალური ბიულეტენი

აგვისტო 2023

სტატისტიკა 2023 პირველი ნახევარი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

ახალციხის ციხე
50,951
ვიზიტორი
18,561 - უცხო ქვეყნის მოქალაქე
დაახლ. 50%-იანი ზრდა 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით

ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი
47,418
ვიზიტორი
26,702 - უცხო ქვეყნის მოქალაქე
დაახლ. 60%-იანი ზრდა 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით

ბორჯომის მუნიციპალიტეტი
99,900
ვიზიტორი
79,314 - უცხო ქვეყნის მოქალაქე
მცირედი კლება 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით

ინფორმაცია სტატისტიკის შესახებ მოწოდებულ იქნა შემდეგი ინსტიტუციების მიერ:

- ა(ა)იპ ახალციხის ციხე
- ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაცია
- ბოჯორმის მუნიციპალიტეტის მერია

2023 წლის მეორე კვარტლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ინსტიტუციური განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ჯგუფური ქოუჩინგის სესიებში იღებდა მონაწილეობას. ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციის მიმართლებით სესიები რამდენიმე თვე მიმდინარეობდა რეგიონში და მათ სამცხე-ჯავახეთის DMO-სთან ერთად, კიდევ ორი პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „ახალციხის ციხის" და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს, წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აპრილში გამართულ მორიგ შეხვედრაზე მონაწილე ორგანიზაციებმა გაუმჯობესებული სისტემების პრეზენტაცია მოახდინეს და მიღწეულ შედეგებზე იმსჯელეს. ქოუჩინგის შედეგად, ორგანიზაციებმა 14 ძირითადი პროცესის ოპტიმიზაცია და 2 შერჩეული პროცესის პილოტირება განახორციელეს. დაინერგა კონსოლიდირებული შესყიდვებისა და ბიუჯეტირების გაუმჯობესებული მოდელები. შედეგად, ორგანიზაციებმა მიიღეს გაუმჯობესებული, მოწესრიგებული და ეფექტური პროცესები.

ქოუჩინგის სესიები USAID/Georgia ხელშეწყობით ხორციელდებოდა.

ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ინსტიტუციური განვითარების ცენტრი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით.

მაისში ცენტრის მიერ ორგანიზებულ მორიგ რეგიონულ კონფერენციაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, ახალციხის ციხე და ბაკურიანის განვითარების სააგენტო იღებდა მონაწილეობას.

კონფერენცია თემაზე - მდგრადი ინსტიტუტების მშენებლობა საქართველოში, ბათუმში გაიმართა და მისი მიზანი საქართველოს რეგიონებში, ინსტიტუციური განვითარების კუთხით, მიღწეული შედეგების განხილვა და გამოწვევების შეფასება იყო.

ღონისძიებას USAID საქართველოს, აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

კონფერენციაზე მომხსენებლებმა HICD პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებიდან, ინსტიტუციური განვითარების პროცესები და შედეგები მიმოიხილეს. პრეზენტაციები გააკეთეს ახალციხის ციხის და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმაც.

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ ახალციხის საკრებულოს სხდომაზე 2023 წლის პირველი კვარტლის ანგარიში წარადგინა. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო -ს რიგით მე-6 სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე უძღვებოდა.

სხდომას ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი, პარლამენტის წევრი -ანტონ ობოლაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ვარდიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე შოთა როსტიაშვილი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი, პირველი მოადგილე ილია ზარდიაშვილი და მოადგილე ვაჟა გაჩეჩილაძე ესწრებოდნენ.

საკრებულოს სხდომამ დადებითად შეაფასა სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

გამოფენები 2023

მეორე კვატალი დასამახსოვრებელი იყო მორიგი ტურისტული გამოფენით ბათუმში. ტრადიციულად სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია ახალციხის ციხესთან ერთად წარსდგა გამოფენაზე.

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენაში EBIT 2023

სამცხე-ჯავახეთის DMO-სთან ერთად გამოფენაში მონაწილეობას Akhaltsikhe Castle ახალციხის ციხე-ც იღებდა. გამოფენაზე მოსულ ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ პროდუქტს გასცნობოდნენ.

ექსპო ბათუმის საერთაშორისო გამოფენებისა და ღონისძიებების კომპანიის მიერ ორგანიზებული რიგით მე-14 გამოფენა 19-დან 21 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა ბათუმში. გამოფენაში 80-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული კომპანია იღებდა მონაწილეობას. EBIT 2023 ტურისტულ კომპანიებს და ტურიზმში ჩართულ ორგანიზაციებს ერთ სივრცეში გაერთიანებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლის საშუალებას აძლევს.

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო სომხურ-ქართულ კულტურულ და კულინარიურ ფესტივალ - „მიმინოში“, რომელიც ქალაქ დილიჟანში გაიმართა 17 ივნისს. ფესტივალზე სომხურმა და ქართულმა მხარეებმა თავიანთი გასტრონომიული პოტენციალი წარმოადგინეს.

სომხეთში ვიზიტი მოიცავდა B2B შეხვედრებს სომხურ ტუროპერატორებთან, სადაც სამცხე-ჯავახეთის DMO-ს წარმომადგენლებმა სომხურ მხარეს რეგიონის პროდუქტები გააცნეს, მათ შორის სომხურ DMO-ებთან ერთად შექმნილი ერთობლივი მარშრუტები.

ვიზიტის ბოლო დღეს მასშტაბური ბიზნეს ფორუმი ჩატარდა ერევანში, რომელსაც სომხეთისა და საქართველოს საელჩოების წარმომადგენლები და ტურიზმის სფეროში ჩართული პირები ესწრებოდნენ.

ფესტივალი გაიმართა სომხური კულინარიული ტრადიციების განვითარებისა და შენარჩუნების არასამთავრობო ორგანიზაციის და სომხეთის ტურიზმის ფედერაციის მიერ. ფესტივალის მხარდამჭერია სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის კომიტეტი, სომხურ და ქართულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

მართვის გეგმები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის

პროექტი - „ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება სამცხე-ჯავახეთის შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განვითარებისთვის“, რეგიონში მსოფლიო ბანკისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება 2021 წლიდან. პროექტის მიზანია შერჩეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაცია, ტურისტული თვალსაზრისით მათი მართვის გეგმების შემუშავება ვიზიტორთა მართვის ეფექტიანობის გაზრდის და ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. შერჩეული

ძეგლებია – ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი, ხერთვისის ციხე, ვანის ქვაბები, საფარის და ზარზმის მონასტრები.

2023 წლის მაისში, სამცხე-ჯავახეთის DMO-ს ორგანიზებით, პროექტით დაქირავებულმა ექსპერტებმა შემუშავებული მართვის გეგმები სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში წარადგინეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებულის მოადგილე, აპარატის უფროსი, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტის მერები, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე და ამავე მუნიციპალიტეტების ტურიზმის სამსახურის წარმომადგნელები, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, ახალციხის ციხის ადმინისტრაცია და, ასევე კერძოს სექტორი, რომელიც რეგიონის ტურიზმის სფეროშია ჩართული.

გეგმების წარდგენის შემდეგ გაიმართა პანელური დისკუსია მერების, ვარძიის დირექტორისა და სამცხე-ჯავახეთის DMO-ს აღმასრულებელი დირექტორის მონაწილეობით. შეხვედრა პროექტის ფარგლებში დაქირავებული ექსპერტების მესამე მისიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რომელიც ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიება იყო მართვის გეგმების საბოლოო სახეზე შეჯერებისა და სამომავლო ნაბიჯების განხილვის მიმართულებით.

პროექტის ფარგლებში მართვის გეგმაზე მუშაობენ ესპანელი ექსპერტები ანა ვირსედა და ალვარო ზარატიეგუი და ადგილობრივი ექსპერტი ნატა რობიტაშვილი. 22 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით, ექსპერტების ბოლო, მესამე მისიის ფარგლებში, შეხვედრები მოეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ მეუფე თეოდორეს და ზარზმის მონასტრის წინამძღოლთან.

ტრანსსასაზღვრო მარშრუტების პოპულარიზაცია

ტრანსსასაზღვრო მარშრუტების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს და სომხეთის ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების წარმომადგენლები ტუროპერატორებს, გიდებს და ტურიზმში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეხვდნენ.

ერთობლივი მარშრუტები 2021 წელს სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის, კახეთის და სომხეთის ოთხი რეგიონის DMO-ს მიერ შემუშავდა USAID EDGE-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

შეხვედრას ორგანიზება USAID EDGE-მა გაუწია, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან თანამშრომლობით.

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ახალი პროექტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციამ ჩეხეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტი - „ურაველის ხეობის ადგილობრივი თემის შესაძლებლობების გაუმჯობესება ტურისტული პროდუქტები განვითარების გზით". პროექტი მიზნად ისახავს ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ურაველის ხეობაში მდგრადი ტურიზმის განვითარებას არეალის ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესების გზით. პროექტით გათვალისწინებულია კავკასიაში პირველი გეოლოგიური ტურისტული მარშრუტის შექმნა. ასევე, ადგილობრივი ტურისტული მომსახურების მიმწოდებელთა საქმიანობაში ეკოტურისტული პრინციპების დანერგვა და ეკოტურიზმის სფეროში სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის გაუმჯობესება.

პროექტი ხორციელდება ჩეხეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, ადგილობრივი მცირე მასშტაბის პროექტების განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში.

რეგიონულ დონეზე პროექტის ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული მხარე და პარტნიორია სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა

საქართველოს გაეროს ასოციაციამ (UNA-Georgia) USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" ფარგლებში დაიწყო სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანიც ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი ჩართულობის ხელშეწყობა და ურთიერთსასარგებლო სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაა.

პროგრამა იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეწარმეებს, სტარტაპერებს, სოციალურ საწარმოებს, მედია საშუალებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საქართველოს ერთიანობისა და მრავალფეროვნების მხარდაჭერაში სხვა შესაძლო აქტორებს.

საგრანტო პროგრამა უზრუნველყოფს ფინანსურ მხარდაჭერას სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით.

საგრანტო პროგრამა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და ბიზნეს აქტორებს სთავაზობს საგრანტო დაფინანსებასა და თანადაფინანსებას (ბიზნეს ინიციატივების შემთხვევაში) 120,000$-ის ფარგლებში (ხანგრძლივობა მაქსიმუმ 18 თვე). აღნიშნული პირობების გადახედვის შემთხვევები დეტალურად გაწერილია საგრანტო პროგრამის აღწერაში.

საგრანტო პროგრამა ფუნქციონირებს ღია კარის პრინციპით. პროგრამის ფარგლებში ყველა საპროექტო მხარდაჭერა გაიცემა და განხორციელდება 2026 წლის 15 დეკემბრამდე.

შეკითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს გაეროს ასოციაციის ელ. ფოსტის მისამართზე – una@una.ge. გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ "საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა".

სამცხე-ჯავახეთში პროექტის სამიზნე არეალებია ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიყევით ბმულს.

იხილეთ მეტი საგრანტო გამოცხადების შესახებ

სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

#1 ხარისჭირაშვილის ქუჩა, ახალციხე

საქართველო

+995595 67 11 12
s.javakhetidmo@gmail.com

გამოწერის გაუქმება

SENT BY mailerlite